

**სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის
წარმომადგენლობა საქართველოში**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

**საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2022 წლის 31 დეკემბერს**

შინაარსი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის წერილი	3
---	---

ინდივიდუალური ფინანსური ინფორმაცია

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	4
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	10

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
5. ძირითადი საშუალებები	20
6. მარაგები	21
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
8. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	21
9. გაცემული სესხები	22
10. სხვა რეზერვები	22
11. მიღებული სესხები	23
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
13. შემოსავალი	24
14. მართვის მომსახურების ხარჯი	24
15. სხვა საოპერაციო ხარჯები	25
16. ფინანსური შემოსავალი, წმინდა.....	25
17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	25
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
19. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....	30
20. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	30
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	30

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის, სს „ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“, („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და პარტნიორთა კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.


ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 01 მაისი დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი





ლ. ბილგინ

მ. ჭელიძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**სსნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას**

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში (შემდგომში კომპანია) ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრისა, ასევე 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ცალკეული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ცალკეული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ცალკეული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ონდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ცალკეული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის

საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვჯაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის

ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

გარიგების პარტნიორის სახელით

მაია ფეიქრიშვილი (SARAS-A-965293)

შპს „პრესტიჟ-აუდიტი“ (SARAS-F-638067)

2023 წლის 1 მაისი

საქართველო, ბათუმი



სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

შენიშვნა		2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	5	60,629,476	64,074,895
ძირითადი საშუალებები		11,234	16,850
არამატერიალური აქტივები	9	5,994,843	7,089,737
გაცემული სესხები		66,635,553	71,181,483
სულ გრძელვადიანი აქტივები			
მიმდინარე აქტივები	6	559,672	554,600
მარაგები	7	1,151,149	889,618
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	897,914	897,914
მისაღები პროცენტი		-	-
საგადასახადო აქტივები	8	5,078,643	5,792,799
ფული და ფულის ეკვივალენტები		7,687,377	8,134,932
სულ მიმდინარე აქტივები		74,322,930	79,316,415
სულ აქტივები			
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		(26,071,224)	(34,548,560)
აკუმულირებული ზარალი	10	75,798,290	84,558,882
სხვა რეზერვები		49,727,066	50,010,322
სულ საკუთარი კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები	11	23,026,645	28,027,327
მიღებული სესხები		23,026,645	28,027,327
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები	12	1,569,220	1,278,765
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,569,220	1,278,765
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		74,322,930	79,316,415
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 01 მაისს დამტკიცებულია
 გამოსაშვებად შემდგომი პერიოდის მიერ:

დირექტორი
 მთავარი ბუღალტერი



ლ. ბილგინ
 მ. ჭელიძე

12-32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
 სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
 დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)


	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	13	28,553,993	23,061,650
მარაგების თვითღირებულების ხარჯი		(2,822,509)	(3,295,050)
ცვეთა		-	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(3,491,753)	(3,965,242)
ბრენდით სარგებლობასთან დაკავშირებული		(5,466,882)	(4,371,498)
ფრანჩაიზინგის ხარჯი	14	(2,177,548)	(1,637,512)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(7,958,913)	(7,174,699)
საოპერაციო მოგება		6,636,388	2,617,649
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	16	(1,751,427)	(2,252,987)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	23	-	-
მოგება საკუთროს სხვაობებიდან, წმინდა		3,592,351	3,073,885
მოგება დაბეგვრამდე		8,477,336	3,438,547
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		8,477,336	3,438,547
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		8,477,336	3,438,547

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 01 მაისს დამტკიცებულია
 გამოსაშვებად შემოსულობების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ლ. ბილგინ

მ. ჰელიძე

12-32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის,
 რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	8,477,336	3,438,547
ცვეთა და ამორტიზაცია	3,491,753	3,965,242
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება	(78,226)	(176,609)
მარაგების ზრდა/შემცირება	(5,071)	(186,254)
წინასწარ გადახდილი ხარჯი ზრდა/შემცირება	(183,304)	38,423
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება	(326,212)	794,366
საგადასახადო აქტივების ზრდა/შემცირება	616,667	20,052
ჯამი საოპერაციო საქმიანობიდან	23,853	489,979
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეალიზაცია	(40,716)	1,034,476
ჯამი საინვესტიციო საქმიანობიდან	(40,716)	1,034,476
გაცემული სესხების ზრდა	1,094,894	868,703
სესხის ზრდა	(5,000,682)	(4,140,223)
წმინდა/ რეზერვების ზრდა/შემცირება	(8,760,592)	(958,007)
ჯამი ფინანსური საქმიანობიდან	(12,666,380)	(4,229,527)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(714,156)	4,698,716
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5,792,799	1,094,083
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,078,643	5,792,799

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 01 მაისს დამტკიცებულია
 გამოსაშვებად მომდგმულია დირექტორის მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ლ. ბილგინ

მ. ჭელიძე

12-32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31
დეკემბერს (ლარში)



	შენიშვნა	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2020		85,516,889	(37,987,107)	47,529,782
სხვა რეზერვების ზრდა	10	(958,007)		(958,007)
მთლიანი სრული შემოსავალი			3,438,547	3,438,547
31 დეკემბერი 2021		84,558,882	(34,548,560)	50,010,322
სხვა რეზერვების ზრდა	10	(8,760,592)		(8,760,592)
მთლიანი სრული შემოსავალი			8,477,336	8,477,336
31 დეკემბერი 2022		75,798,290	(26,071,225)	49,727,066

ფინანსური ანგარიშგება ზედამხედველობის სახელით, 2023 წლის 01 მაისს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდგომ პერიოდის მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ლ. ბილგინ

მ. ჭელიძე

12-32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ
ნაწილს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის, სს „ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“, („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და პარტნიორთა კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 1 მაისი დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ლ. ბილგინ

მ. ჭელიძე

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შენიშვნა		2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	60,629,476	64,074,895
არამატერიალური აქტივები		11,234	16,850
გაცემული სესხები	9	5,994,843	7,089,737
სულ გრძელვადიანი აქტივები		66,635,553	71,181,483
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	559,672	554,600
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,151,149	889,618
მისაღები პროცენტი	9	897,914	897,914
საგადასახადო აქტივები		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	5,078,643	5,792,799
სულ მიმდინარე აქტივები		7,687,377	8,134,932
სულ აქტივები		74,322,930	79,316,415
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი			-
აკუმულირებული ზარალი		(26,071,224)	(34,548,560)
სხვა რეზერვები	10	75,798,290	84,558,882
სულ საკუთარი კაპიტალი		49,727,066	50,010,322
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	23,026,645	28,027,327
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		23,026,645	28,027,327
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,569,220	1,278,765
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,569,220	1,278,765
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		74,322,930	79,316,415

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 1 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ლ. ბილგინ

მთავარი ბუღალტერი _____ მ. ჭელიძე

11-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
 სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
 დასრულდა 2022 წლის 31დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	13	28,553,993	23,061,650
მარაგების თვითღირებულების ხარჯი		(2,822,509)	(3,295,050)
		-	-
ცვეთა		(3,491,753)	(3,965,242)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(5,466,882)	(4,371,498)
ბრენდით სარგებლობასთან დაკავშირებული			
ფრანჩაიზინგის ხარჯი	14	(2,177,548)	(1,637,512)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(7,958,913)	(7,174,699)
საოპერაციო მოგება		6,636,388	2,617,649
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	16	(1,751,427)	(2,252,987)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		23	-
მოგება საკუროსო სხვაობებიდან, წმინდა		3,592,351	3,073,885
მოგება დაბეგვრამდე		8,477,336	3,438,547
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		8,477,336	3,438,547
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		8,477,336	3,438,547

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 1 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ლ. ბილგინ

მთავარი ბუღალტერი _____ მ. ჭელიძე

11-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	8,477,336	3,438,547
ცვეთა და ამორტიზაცია	3,491,753	3,965,242
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება	(78,226)	(176,609)
მარაგების ზრდა/შემცირება	(5,071)	(186,254)
წინასწარ გადახდილი ხარჯი ზრდა/შემცირება	(183,304)	38,423
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება	(326,212)	794,366
საგადასახადო აქტივების ზრდა/შემცირება	616,667	20,052
ჯამი საოპერაციო საქმიანობიდან	23,853	489,979
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეალიზაცია	(40,716)	1,034,476
ჯამი საინვესტიციო საქმიანობიდან	(40,716)	1,034,476
გაცემული სესხების ზრდა	1,094,894	868,703
სესხის ზრდა	(5,000,682)	(4,140,223)
წმინდა/ რეზერვების ზრდა/შემცირება	(8,760,592)	(958,007)
ჯამი ფინანსური საქმიანობიდან	(12,666,380)	(4,229,527)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(714,156)	4,698,716
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5,792,799	1,094,083
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,078,643	5,792,799

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 1 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ლ. ბილინ

მთავარი ბუღალტერი

მ. ჭელიძე

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31
დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2020		85,516,889	(37,987,107)	47,529,782
სხვა რეზერვების ზრდა	10	(958,007)		(958,007)
მთლიანი სრული შემოსავალი			3,438,547	3,438,547
31 დეკემბერი 2021		84,558,882	(34,548,560)	50,010,322
სხვა რეზერვების ზრდა	10	(8,760,592)		(8,760,592)
მთლიანი სრული შემოსავალი			8,477,336	8,477,336
31 დეკემბერი 2022		75,798,290	(26,071,225)	49,727,066

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 1 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად
შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ლ. ბილგინ
მთავარი ბუღალტერი	_____	მ. ჭელიძე

11-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ
ნაწილს.

შპს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,

რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2007 წლის 13 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმომადგენლობის სტატუსით. კომპანიის დამფუძნებელია სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთი (შემდგომში – დამფუძნებელი).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო მომსახურების გაწევა. კომპანია ფლობს შერატონ ბათუმის სასტუმროს (შემდგომში – სასტუმრო). სასტუმროს იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, რუსთაველის ქ. # 28.

შერატონის ბრენდის გამოყენების უფლება კომპანიას შეძენილი აქვს Starwood Hotels & Resorts Worldwide, INC -სგან ამავე სასტუმროს სამართვად სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთთან არსებული შეთანხმების საფუძველზე. სასტუმროს მშენებლობა დაიწყო 2007 წელს, ხოლო ოპერირება - 2010 წლის მარტის თვეში.

სასტუმრო პირველი საერთაშორისო ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა შავი ზღის სანაპიროზე, აჭარის რეგიონში, მდებარეობს ქალაქის ცენტრში. სასტუმრო აღჭურვილია 202 სასტუმრო ნომრით, მათ შორის 26 ლუქსის ტიპის ნომრით.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ბათუმი, ვაჟა-ფშაველა, /ნინოშვილის ქ. №2/21.

2. მომზადების საფუძველები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფასს-ზე გადასვლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა საუკეთესო ცოდნა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის, რომელსაც კომპანია გამოიყენებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

შპს ნუროლ ინშაით ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

შპს ნუროლ ინშაუტ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,

რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3.5040

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შემენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოდგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემულ სესხებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების, გაცემული სესხებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

(ა) რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

(ბ) რომლებსაც კომპანია განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და

(გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.

(გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- (ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:
- (i) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
 - (ii) თავდაპირველი აღირებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან
 - ~~(iii) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოვლენით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).~~
- (ბ) თავდაპირველი აღირებისას კომპანიის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიას ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:
- (i) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, კომპანიას უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:
 - ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
 - მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან
 - (ii) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:
 - იგი მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამოებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამოებს“ უწოდებენ), რაც სხვა შემთხვევაში წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან
 - ფინანსური აქტივების ჯგუფი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძველზე მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება კომპანიის ფარგლებში, კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(დ) **გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები**

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

(i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;

(ii) თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფას 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფას 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

შპს ნუროლ ინშაით ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,

რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, სესხების მე-2 დონით, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწა არ ცვედება. ძირითადი საშუალებებისთვის დადგენილი ცვეთის განაკვეთებია:

ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
შენობები და ნაგებობები	20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7
მანქანა - დანადგარები	7
სხვა	5-7

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, ცვეთის განაკვეთის შეცვლა.

აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმომადგენს გაუფასურების ზარალს.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

შპს ნუროლ ინშაით ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,

რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შპს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,

რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლები წარდგენილია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, ასევე კორექტირებებისა და ფასდაკლებების გათვალისწინებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების კრიტერიუმების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხელფასები და ხელფასთან დაკავშირებული განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

სხვა რეზერვები

კომპანია წარმოდგენს სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის ოფიციალურ წარმომადგენლობას საქართველოში. კომპანიის სხვა რეზერვები წარმოქმნილია დამფუძნებელთან განხორციელებული ფულადი და არაფულადი ოპერაციების შედეგად, კონკრეტულად: ძირითადი საშუალებების შემოტანით, მესამე მხარეების მიმართ არსებული ვალდებულებების დაფინანსებით, მესამე მხარეებზე გაცემული სესხით და ა.შ. კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი განპირობებულია დამფუძნებლის კომერციული საჭიროებებიდან გამომდინარე და არ წარმოდგენს ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგს.

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

შპს ნუროლ ინშაით ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	საინვესტიციო ქონება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	საოფისე აღჭურვილობა	მანქანა - დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
12/31/2020	2,377,737	92,419,501	5,066,137	14,246,067	6,899,172	5,798,612	240,905	2,893,331	129,941,461
შემოსვლა		468,778		45,739		166,078	-		680,594
გასვლა					(4,409,262)	(4,411)	-	(27,675)	(4,441,348)
გადატანა				(38,763)	(240,001)			244,794	(33,970)
12/31/2021	2,377,737	92,888,278	5,066,137	14,253,043	2,249,908	5,960,279	240,905	3,110,450	126,146,738
შემოსვლა		546,429		52,521		184,351			783,301
გასვლა				(1,284,836)	(1,620,935)	(1,473,396)	-	(2,592,857)	(6,972,024)
გადატანა		743,631		(166,521)		(439,379)		(137,731)	-
12/31/2022	2,377,737	94,178,338	5,066,137	12,854,207	628,973	4,231,855	240,905	379,863	119,958,015
დაგროვილი ამორტიზაცია									
12/31/2020	-	(36,762,538)	(1,768,977)	(11,569,335)	(4,450,609)	(3,893,806)	(191,585)	(2,238,423)	(60,875,273)
ცვეთა		(2,943,652)		(406,662)	(182,331)	(310,457)	(9,864)	(103,850)	(3,956,816)
გასვლა				24,740	2,712,235	3,061		20,212	2,760,248
გადატანა		164,611	(164,611)	3,989	195,956			(199,945)	-
12/31/2021	-	(39,541,579)	(1,933,589)	(11,947,268)	(1,724,750)	(4,201,203)	(201,449)	(2,522,005)	(62,071,842)
ცვეთა		(2,888,553)		(319,451)	(34,788)	(224,575)	(7,891)	(10,877)	(3,486,136)
გასვლა				1,220,577	1,327,703	1,466,510		2,214,649	6,229,439
გადატანა		156,897	(156,897)						-
12/31/2022	-	(42,273,234)	(2,090,486)	(11,046,142)	(431,834)	(2,959,268)	(209,340)	(318,234)	(59,328,539)
საბალანსო ღირებულება									
12/31/2021	2,377,737	53,346,700	3,132,548	2,305,775	525,159	1,759,077	39,456	588,445	64,074,896
12/31/2022	2,377,737	51,905,104	2,975,651	1,808,064	197,139	1,272,587	31,565	61,629	60,629,476

შპს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობა-ნაგებობები ძირითადად მოიცავს:

- სასტუმრო შერატონის შენობას, რომელიც განთავსებულია ქალაქ ბათუმში რუსთაველის 28 ნომერში მდებარე 8,940 კვ.მ მიწის ფართობზე;
- სოფელ სალიბაურში 39,000 კვ.მ მიწის ფართობზე განთავსებულ შენობას.
- ხელვაჩაურში, სამწრეწველო ზონაში საკუთრებაში აქვს 1957,05 კვ.მ შენობა

2022 წლის მდგომარეობით კომპანიის უძრავი ქონება, კერძოდ სასტუმროს ნაწილი დატვირთულია იპოთეკით, დედა კომპანიის სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთი სესხის უზრუნველსაყოფად, .

შპს ნუროლ ინშაუტ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

6. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად.

	12/31/2022	12/31/2021
სამშენებლო და სამეურნეო მასალები	33,579	61,030
საკვები პროდუქტები	268,921	232,905
სასმელები	63,019	46,839
სხვა	194,152	213,826
სულ	559,672	554,600

სხვა სასაქონლო მარაგები წარმოადგენს სასტუმროს ყოველდღიური მოხმარების მარაგებს, როგორც დალაგების ასევე სტუმრებისთვის გათვლილ ნომრის აქსესუარებს.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად

	12/31/2022	12/31/2021
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	707,691	622,134
საექვო მოთხოვნები	20,349	20,349
არაფინანსური მოთხოვნები:		
გაცემული ავანსები	423,109	247,135
სულ	1,151,149	889,618

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2022	12/31/2021
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	686,918	826,510
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	4,371,239	4,948,769
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	20,486	17,520
სულ	5,078,643	5,792,799

შპს ნუროლ ინშაით ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

9. გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	12/31/2022	12/31/2021
შპს ნუროლ საქართველო*	11.5%	ლარი	456,229	361,369
შპს ნუროლ საქართველო*	8.8%	ევრო	5,538,614	6,728,368
სულ			5,994,843	7,089,737

მისაღები პროცენტის სახით კომპანიას გააჩნია

	12/31/2022	12/31/2021
შპს ნუროლ საქართველო*	897,914	897,914
სულ	897,914	897,914

პროცენტის დარიცხვა გადაწყვეტილების საფუძველზე შეჩერებულია.

10. სხვა რეზერვები

სხვა რეზერვების ცვლილება წარმოდგენილია , რომელიც წარმოადგენს დედა კომპანიასთან არსებულ უერთიერთ-ოპერაციებს :

	2022	2021
1 იანვარი	84,558,882	85,516,889
ფულადი ნაკადები:	(10,714,255)	(3,271,505)
სესხის დაფარვა	(10,714,255)	(3,271,505)
არაფულადი შენატანები	1,953,663	2,313,498
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაფინანსება	14,010	(5,008)
მიღებული სესხების დაფარვა	1,939,653	2,307,920
გაცემული სესხების ზრდა		3,879
სხვა		6,707
31 დეკემბრის მდგომარეობით	75,798,290	84,558,882

შპს ნუროლ ინშაუტ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

11. მიღებული სესხები

შპს ნუროლ საქართველოსგან მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

საწყისი ნაშთი 01.01.2022	28,027,327	32,159,577
ურთიერთგადახურვა რეზერვთან	(86,313)	(48,624)
ფინანსური შედეგი სესხის გადაფასებიდან	(4,914,369)	(4,083,626)
საბოლოო ნაშთი 31.12.2022	23,026,645	28,027,327

მიღებული სესხის რეალური ღირებულება არ განსხვავდება მის საბალანსო ღირებულებისგან.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2022	12/31/2021
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	842,083	603,970
გადასახდელი ხელფასები	110,470	51,342
საგადასახადო ვალდებულება	616,667	616,381
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,569,220	1,271,693
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	-	7,073
სულ	1,569,220	1,278,765

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

შპს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

13. შემოსავალი

შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
სასტუმროდან მიღებული შემოსავლები	25,337,130	19,475,285
სასტუმროს ოთახების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	17,212,561	13,596,201
ბარიდან და რესტორნიდან მიღებული შემოსავალი	5,777,064	4,244,143
სპა და სხვა გამაჯანსაღებელი მომსახურებები	1,422,197	878,427
კომერციული ფართის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	925,309	756,515
ნუროლი რეზიდენსი გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	3,216,863	3,586,365
სულ	28,553,993	23,061,650

14. მართვის მომსახურების ხარჯი

Starwood Hotels & Resorts Worldwide, INC წარმოადგენს კომპანიისთვის სასტუმროს მმართველობითი მომსახურების მომწოდებელ კომპანიას. იგი პასუხისმგებელია სასტუმროს ოპერაციების ზედამხედველობაზე, მიმართულებაზე და კონტროლზე ბრენდის სახელის ქვეშ. ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთსა და Starwood Hotels & Resorts Worldwide, INC შორის გაფორმებულია რამდენიმე ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეებს შორის ურთიერთობის პირობებს და ვალდებულებებს.

	2022	2021
გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი	(344,251)	(271,924)
ლიცენზიის ხარჯი	(697,771)	(535,744)
წახალისების გადასახადი	(1,135,526)	(829,844)
სულ	(2,177,548)	(1,637,512)

შპს ნუროლ ინშაუტ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(1,993,018)	(1,651,976)
ქონების გადასახადის ხარჯი	(652,870)	(692,997)
რემონტისა და შენახვის ხარჯები	(1,121,065)	(1,080,351)
გაყიდვების და მარკეტინგული ხარჯი	(289,265)	(265,568)
სამრეცხო და ქიმწმენდის ხარჯი	(490,887)	(348,884)
ოთახის ხარჯები	(1,179,665)	(975,725)
რესტორნის ხარჯი	(455,895)	(373,168)
დაზღვევის ხარჯი	(1,893)	(397,896)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(19,913)	(3,905)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(30,707)	(18,688)
პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა	(123,579)	(119,054)
ბანკის საკომისიო	(172,038)	(170,204)
საკონსულტაციო ხარჯი	(102,515)	(118,414)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(1,325,603)	(957,870)
სულ	(7,958,913)	(7,174,699)

16. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი, წმინდა

ფინანსური შემოსავალი, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საპროცენტო ხარჯები:		
დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,853,340)	(2,259,297)
საპროცენტო შემოსავალი:		
დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ სესხზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	44,260	1,768
სხვა ფინანსური შემოსავალი:		
სხვა ფინანსური შემოსავალი	57,653	4,543
სულ	(1,751,427)	(2,252,987)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

შპს ნუროლ ინშაუტ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,

რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,078,643	5,792,799
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	707,691	622,134
გაცემული სესხები	5,994,843	7,089,737
	11,781,177	13,504,670
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	842,083	603,970
მიღებული სესხები	23,026,645	28,027,327
	23,868,728	28,631,298

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის დირექტორთა საბჭო და შესაბამისი კომიტეტები ხელმძღვანელობისგან ღებულობენ ყოველთვიურ ანგარიშგებას, მიმოიხილავენ თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

შპს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	GEL	USD USD 1 = 3.0976 GEL	EUR EUR 1 = 3.5040 GEL	12/31/2021
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტი	4,966,289	826,510		5,792,799
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	405,302	216,832		622,134
გაცემული სესხები	361,369		6,728,368	7,089,737
ფინანსური აქტივები, სულ	5,732,960	1,043,342	6,728,368	13,504,670
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	603,970			603,970
მიღებული სესხები			28,027,327	28,027,327
ფინანსური ვალდებულებები, სულ	603,970	-	28,027,327	28,631,298
ღია სავალუტო პოზიცია	5,128,990	1,043,342	(21,298,959)	
	GEL	USD USD 1 = 2.7020 GEL	EUR EUR 1 = 2.8844 GEL	12/31/2022
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტი	4,391,725	686,918		5,078,643
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	518,551	189,140		707,691
გაცემული სესხები	456,229		5,538,614	5,994,843
ფინანსური აქტივები, სულ	5,366,505	876,058	5,538,614	11,781,177
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	842,083			842,083
მიღებული სესხები			23,026,645	23,026,645
ფინანსური ვალდებულებები, სულ	842,083	-	23,026,645	23,868,728
ღია სავალუტო პოზიცია	4,524,422	876,058	(17,488,031)	

შპს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მგრძნობელობა სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს

სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად ძუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2021	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	208,668	(208,668)	(4,259,792)	4,259,792
2022	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	175,212	(175,212)	(3,497,606)	3,497,606

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია გაცემული სესხებიდან, სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

შპს ნუროლ ინშაუტ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24, „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიის და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

			12/31/2022	12/31/2021
მიღებული სესხები				
შპს ნუროლ საქართველო	სხვა*		23,026,645	28,027,327
	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	12/31/2022	12/31/2021
შპს ნუროლ საქართველო*	11.5%	ლარი	456,229	361,369
შპს ნუროლ საქართველო*	8.8%	ევრო	5,538,614	6,728,368
სულ			5,994,843	7,089,737

მისაღები პროცენტები	12/31/2022	12/31/2021
შპს ნუროლ საქართველო*	897,914	897,914
სულ	897,914	897,914

შპს ნუროლ ინშაით ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

19. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

იურიდიული საკითხები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია სასამართლო დავა, რომელიც არსებით გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე. შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

20. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კოვიდ პანდემიის დასრულების შემდეგ კომპანიამ გააგრძელა მუშაობა ჩვეულებრივ რეჟიმში ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით საფრთხე არ ემუქრება. კომპანიას შეუძლია გააგრძელოს საქმიანობა საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენებ

ბალანსის შედგენის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, ქ. ბათუმი

2022 წელი

1. საზოგადოების მიმოხილვა

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა 2007 წლის 13 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სარეგისტრაციო კოდი 245591104, წარმომადგენლობის სტატუსით. კომპანიის დამფუძნებელია თურქული კომპანია სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთი.

კომპანიის დირექტორია ლუთფუ ბილგინი (ს/ნ 17431404598)

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ბათუმი, ვაჟა-ფშაველა, /ნინოშვილის ქუჩა #2/21.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო მომსახურების გაწევა. კომპანია ფლობს შერატონ ბათუმის სასტუმროს (შემდგომში - სასტუმრო). სასტუმროს იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, რუსთაველის ქ. #28.



შერატონის ბრენდის გამოყენების უფლება კომპანიას შეძენილი აქვს Starwood EAME license and Services Company BVB A-სგან , მოცემული ბელგიური კომპანია ახორციელებს ამავე სასტუმროს მართვას სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთთან არსებული შეთანხმების საფუძველზე.

ბათუმის შერატონი შავი ზღვის რეგიონში პირველი საერთაშორისო 5 ვარსკვლავიანი სასტუმროა და მოიხსენიება როგორც შავი ზღვის კაშკაშა ვარსკლავი, ის ბათუმის ცენტრში მდებარეობს, ბათუმის აეროპორტიდან 15 წუთის სავალზე. სასტუმროდან ბათუმის ისტორიულ ცენტრამდე 5 - 10 წუთის გზაა.

სასტუმრო შერატონში 203 ოთახი და სუიტია, მათ შორის 21 სართულზე მდებარე 300 კვ. მეტრიანი პენტჰაუსი, საიდანაც 360 გრადუსით იშლება შავი ზღვის და ბათუმის ულამაზესი ხედები. ყველა ოთახი და სუიტი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით და საგანგებოთ შერატონისათვის შექმნილი სვით-სლიფერ საწოლებით. აგრეთვე, ერთი საპრეზიდენტო და 26 ლუქსის ტიპის ოთახით.



სასტუმროს მომსახურება:
ვესტიბიულში საკომუნიკაციო ცენტრია, სადაც სტუმრებს შეუძლია

ელექტრონული ფოსტის შემოწმება, ინტერნეტ სორფინგის განხორციელება და მოგზაურობის დროს თავის მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან მუდამ კავშირში ყოფნა.

750 კვადრატულ მეტრიანი შაინ სპა-შერატონის გამაჯანსაღებელი ცენტრი მოიცავს დახურულ და ღია აუზს, საუნას, ორთქლის ოთახს, არაჩვეულებრივ თურქულ აბანოსა და მასაჟის კაბინეტებს. აქ ყველაფერი, სასიამოვნო გარემოდან დაწყებული და გულთბილი მიღებით დამთავრებული, საგანგებოდაა შერჩეული თქვენთვის რათა განიტვირთოთ, დაისვენოთ და გაერთოთ, მოიხსნათ სტრესი და დამაბულობა დატვირთული სამუშაო გრაფიკის შემდეგ.

შერატონის ფიტნეს ცენტრი განტვირთვის კარგი საშუალებაა, რომელიც ოპერირებს კორპორატივთან თანამშრომლობით. ეს არის ორგანიზაცია რომელიც ავარჯიშებს ელიტარულ ათლეტებსა და ოლიმპიელებს. როგორც იცით ფიტნესი და მოგზაურობა ურთიერთდაკავშირებულია, კომპანიას შემუშავებული აქვს რჩეული ვარჯიშების პროგრამა, რომლის წყალობითაც მოგზაურობის დროსაც მუდამ ფორმაში და ენერგიით აღსავსენი იქნებით.

სასტუმრო პირველი საერთაშორისო ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა შავი ზღვის სანაპიროზე, აჭარის რეგიონში, მდებარეობს ქალაქის ცენტრში. სასტუმრო აღჭურვილია 202 ოთახით, მათ შორის ერთი საპრეზიდენტო და 26 ლუქსის ტიპის ოთახით.

კომპანია მუდმივად ორიენტირებულია განახლებაზე და მაღარ ხარისხზე.

2. საზოგადოების განვითარების გეგმები

მსოფლიოში COVID-19 ვაქცინაციის დაწყება ხელმძღვანელობის საშუალებას აძლევს გააკეთოს რეალური პროგნოზები.

ანგარიშგების შედგენის პერიოდში კომპანია ფუნქციონირებს და მართლდება ხელმძღვანელობის დადებითი პროგნოზები ტურისტების მატებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე პერიოდისთვის სასტუმრო დატვირთვით მუშაობს, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს პანდემიის პერიოდში მიყენებული ფინანსური ზიანის ანაზღაურებას.

ძირითადი აქცენტი კეთდება სხვა გეოგრაფიული ლოკაციებიდან ტურისტული ჯგუფების მოზიდვაზე, კერძოდ: ისრაელი, რუსეთი, უკრაინა და ყაზახეთი. ამ მიზნით დაგეგმილია ტურისტულ საგამოფენო ფორუმებზე მონაწილეობის მიღება და აღნიშნული ქვეყნების ტუროპერატორებთან ახალი კონტრაქტების გაფორმება.

კომპანიის მიზანია გაზარდოს დასაქმებულთა სოციალური მდგომარეობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღების დრო 2022 წელს შეადგინა 324 დღე, ხოლო 2021 წელს 336 დღე, 2022 წელს 12 დღით შეამცირა, რაც მიუთითებს კომპანიის კარგ დებიტორულ კონტროლს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გადახდის დრო 2022 წელს შეადგინა 331 დღე, ხოლო 2021 წელს 252 დღე, 2022 წელს 79 დღით გაზარდა, რაც მიუთითებს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

2022 წმინდა მოგების მარჟა აქვს 30% რაც 15%-ით მეტია 2021 წლის წმინდა მოგების მარჟაზე.

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში

დირექტორი:

ლუთფუ ბილგინი

1 მაისი 2023

მიმდინარე პერიოდისთვის სასტუმრო დატვირთვით მუშაობს, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს პანდემიის პერიოდში მიყენებული ფინანსური ზიანის ანაზღაურებას.

ძირითადი აქცენტი კეთდება სხვა გეოგრაფიული ლოკაციებიდან ტურისტული ჯგუფების მოზიდვაზე, კერძოდ: ისრაელი, რუსეთი, უკრაინა და ყაზახეთი. ამ მიზნით დაგეგმილია ტურისტულ საგამოფენო ფორუმებზე მონაწილეობის მიღება და აღნიშნული ქვეყნების ტუროპერატორებთან ახალი კონტრაქტების გაფორმება.

კომპანიის მიზანია გაზარდოს დასაქმებულთა სოციალური მდგომარეობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღების დრო 2022 წელს შეადგინა 324 დღე, ხოლო 2021 წელს 336 დღე, 2022 წელს 12 დღით შეამცირა, რაც მიუთითებს კომპანიის კარგ დებიტორულ კონტროლს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გადახდის დრო 2022 წელს შეადგინა 331 დღე, ხოლო 2021 წელს 252 დღე, 2022 წელს 79 დღით გაზარდა, რაც მიუთითებს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

2022 წმინდა მოგების მარჟა აქვს 30% რაც 15%-ით მეტია 2021 წლის წმინდა მოგების მარჟაზე.

სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში

დირექტორი:

1 მაისი 2023



დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი**სს ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში
დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს**

თქვენი 2023 წლის 1 მაისით დათარიღებული მმართველობის ანგარიშგების, საპასუხოდ გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

აუდიტს წარვმართავდით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებასთან ერთად მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

2. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიმჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამობები, რაც მიგვანიშნებდა მმართველობის ანგარიშგების მოუმზადებლობაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

ზემოთაღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აზრაცებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს

მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის). აუდიტორის პასუხისმგებლობა ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ;
- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ მიერ, 2023 წლის 1 მაისს გამოშვებულია დასკვნა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ დათარიღებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

მოცემული მმართველობითი ანგარიშგების აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის მათა ფეიქრიშვილი.

გარიგების პარტნიორის სახელით

მაია ფეიქრიშვილი (SARAS-A-965293)

შპს „პრესტიჟ-აუდიტი“ (SARAS-F-638067)

2023 წლის 1 მაისი

საქართველო, ბათუმი

